ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2583609

ნომერი: AR1398464

თარიღი : 20.04.2016

გაცემის თარიღი : 06.05.2016

გაცნობის თარიღი : 06.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხომლელის ქუჩა , N 2-ის მიმდებარე ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 20

აპრილის №AR1398464 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და ამავე სამსახურის 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ხომლელის ქუჩა №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.20.007.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, არასწორადაა მითითებული საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 742.51 და საერთო ფართი (კვ.მ): 8146.31. ასევე, ტექნიკური შეცდომა დაშვებულია შეთანხმებულ +3.30 და +6.60 ნიშნულების გეგმებში, კერძოდ, გეგმებზე არასწორადაა მითითებული საზაფხულო ფართები.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანებაში და №AR1398464 განაცხადის 2016 წლის 06 მაისის №AR1117966MS შეტყობინების საშუალებით გამოგზავნილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისად ბრძანებაში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:740.42, ხოლო საერთო ფართობი (კვ.მ).:8144,22. ასევე, შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის გეგმებში +3.30 და +6.60 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლეს განაცხადით წარმოდგენილი +3.30 და +6.60 ნიშნულების შესწორებული გეგმებით.
სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. ამიტომ, მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:8144,22; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:740.42 და შეთანხმებულ გეგმებში +3.30 და +6.60 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს განაცხადით წარმოდგენილი +3.30 და +6.60 ნიშნულების შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 01 აპრილის №2516329 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.